

მაია მენაბდე • ნათია ფურცელაძე • ნანა სახეჩიძე

ქართული ლიტერატურა 9

მოსწავლის წიგნი ნაწილი II



გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

თემა

სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

თავი 4 სამშობლოს მოამაგენი

ერლომ ახვლედიანი	
ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს	9
ნიკოლოზ ბარათაშვილი ბედი ქართლისა	16
აკაკი წერეთელი განთიადი	28
რეზო გაბრიაძე GEDEVANI	45
ნუცა ლოლობერიძის ისტორია	64
ედვარდ ჰეილი უსამშობლო კაცი	73

თავი 5 ბუნება და ადამიანი

ვაჟა-ფშაველა გველისმჭამელი	96
ტარიელ ხარხელაური ხმელო ფოთოლო	111
რევაზ ინანიშვილი თეთრი ყანჩა	116
შარლ ბოდლერი ალბატროსი	127



თემა

მარადიული ძიებები


თავი 6 სიკეთე და ბოროტება – გზა, რომელსაც ვირჩევთ

იგავი სახარებიდან ათი ქალწულის იგავი	138
სულხან-საბა ორბელიანი კაცი და გველი	145
ვაჟა-ფშაველა ჩემი ვედრება	151
არჩილ ქიქოძე სამხრეთული სპილო	158
ჯემალ ქარჩხაძე ზებულონი	167
ო' ჰენრი უკანასკნელი ფოთოლი	174



თავი 7 მაგრამ, რადგანაც კაცნი გვევლიან – შვილნი სოფლისა...

შოთა რუსთაველი ანდერძი ავთანდილისა	187
ნიკოლოზ ბარათაშვილი ფიქრნი მტკვრის პირას	200
ილია ჭავჭავაძე რა გითხრათ, რით გაგახაროთ?	206
გურამ დოჩანაშვილი მუსიკოსი	216
რეი ბრედბერი ბაბუნვერას ღვინო	226



თავი

4

ერლომ ახვლედიანი ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს.....	9
ნიკოლოზ ბარათაშვილი ბედი ქართლისა	16
აკაკი წერეთელი განთიადი	28
რეზო გაბრიაძე GEDEVANI	45
ნუცა დოლობერიძის ისტორია	64
ედვარდ ჰეილი უსამშობლო კაცი	73

სამშობლოს მოამაგენი

შესავალი

ყოველი ადამიანი სამყაროს აღქმას, შეცნობას თავისი მშობლიური სამყაროდან, სახლიდან, ქვეყნიდან იწყებს. ვაჟა-ფშაველა წერს: პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა, კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელიო. მიუხედავად ამისა, ადამიანებს მუდამ გვანუხებს კითხვები:

- რა არის სამშობლო, როგორ განიმარტება ის?
- რატომ და რითაა სამშობლო განსაკუთრებული ადამიანისთვის?
- როგორ განსაზღვრავს რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში დაბადება და აღზრდა ჩვენს პიროვნებას?
- რით გამოიხატება სამშობლოს სიყვარული?

სამშობლოს სიყვარული კი გულის საქმეა, მაგრამ მასზე ზრუნვას გამჭრიახი გონება, ზნეობრივი სიმტკიცე და დიდი ძალისხმევაც სჭირდება.

ამ თავში შენ გაეცნობი ნაწარმოებებს, ტექსტებს, რომლებიც სამშობლოს მოამაგე ადამიანებზე მოგვითხრობს და, დარწმუნებული ვართ, პასუხებსაც იპოვი ძალიან მნიშვნელოვან კითხვაზე – როგორ და რაში ვლინდება სამშობლოს სიყვარული?





(1933-2012)
ქართველი მწერალი
და სცენარისტი.
ლიტერატურული
პრემია „საბას“
ლაურეატი

გაიცანი ავტორი

ბაქარ ახვლედიანის მოგონებები მამაზე, ერლომ ახვლედიანზე:

„მამაჩემი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მისი მამა, სერგო ახვლედიანი, მხატვარი იყო. დედა ბარბარე დადიანი გახლდათ. ისინი ლენინგრადში ცხოვრობდნენ. ერთ დღეს ბაბუას ყველა ნახატი დაუნვეს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, ვინ ამის შემდეგ თბილისში გადმოსახლდა. მამას სამი დედამამიშვილი ბავშვობაში გარდაეცვალა. მხოლოდ ერთი და ჰყავდა დარჩენილი – მადონა, რომელიც რამდენიმე წლის წინ წავიდა ამქვეყნიდან. ერლომს პატარაობიდანვე ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი და არც შემდგომ წლებში დაჰკლებია მძიმე დღეები.

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა ისტორიის ფაკულტეტზე. 25 წლისამ დაიწყო სცენარების წერა...

1962 წლიდან მოყოლებული, 2012 წლის ჩათვლით, ოცამდე ცნობილი ფილმის სცენარი შექმნა და ხუთ ფილმში მიიღო მონაწილეობა.

მამა ძალიან თბილი და ერთგული ადამიანი გახლდათ. თუ სახლში, მის გვერდით არ ვიყავი, მირეკავდა და მეკითხებოდა, სად ვიყავი. უნდოდა, რომ ჩემ შესახებ ყველაფერი სცოდნოდა. ბევრ ცხოვრებისეულ რჩევას მაძლევდა, რადგან თავად დიდი გამოცდილება ჰქონდა. მე პატარა ვიყავი და არაფერს ვუჯერებდი. ალბათ ვერ ვიაზრებდი, როგორი დიდი პიროვნება იყო და მისგან რჩევის მიღება რამდენს ნიშნავდა – ეს ისევ და ისევ ჩემი ასაკის გამო. სხვათა შორის, ვერ აღვიქვამდი იმ ფაქტს, რომ ის ცნობილი და სხვებისგან გამორჩეული იყო. ურთიერთობაში იმდენად უბრალო გახლდათ, რომ არასოდეს მიფიქრია მასზე, როგორც დიდ პიროვნებაზე. თუმცა, მის ფილმებს რომ ვუყურებდი, მეამაყებოდა. სამსახურში, სამეგობროში და ყველგან, სადაც მის ფილმს დავინახავდი, ყველას ვეუბნებოდი, რომ სცენარი მამაჩემს ეკუთვნოდა.

მამა ძალიან მორწმუნე კაცი იყო. ეკლესიაში სულ დადიოდა და მეც თან მივყავდი ხოლმე. ერთ ჯიბეში ხურდებს იყრიდა და ამბობდა, ეს ეკლესიის ფულიაო. გზადაგზა ყველა მათხოვარს ეხმარებოდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, ეკლესიიდან გამოსულს მითქვამს, მამა, ნაყინი ან შოკოლადი მიყიდე-მეთქი. ის მპასუხობდა, ფული არ მაქვსო. ამ დროს მათხოვარს დაინახავდა და ფულს მისცემდა. ამაზე ძალიან ვბრაზდებოდი, მათხოვრისთვის თუ გაქვს, ჩემთვის როგორ არ გაქვს-მეთქი, ვეუბნებოდი. მამა მშვიდად მიხსნიდა, შვილო, იმას უჭირს და იმიტომ ვაძლევ ფულს, შენ არ გიჭირსო...“

ესაუბრა თეონა კენჭიაშვილი

„თუ სხვა შენზე უკეთ აკეთებს იმას, რაც შენ გსურს გააკეთო, და ამას აღიარებ, შენს თავზე ერთი გამარჯვება ესაა!

ნუ დაისახავ მიზნად იყო ორიგინალური, რადგან ამ სურვილზე არაორიგინალური არაფერია. გამოხატვის ფორმის ძიებაში არ დაკარგო შენი შინაარსი. თუ შენ გულწრფელად შეიტყებ ის, რომ არ ხარ გამორჩეული, ეს კიდევ ერთი გამარჯვებაა საკუთარ თავზე, იქნებ – საბოლოო გამარჯვებაც, რომელიც სულიერი სიმშვიდის გვირგვინს დაგადგამს.

საერთოდ, შენი რაობა, შენი არსება არ შეიძლება შედარების საგანი გახდეს. შედარებითი სრულყოფა არ არსებობს, მაგრამ შეგიძლია, მიაღწიო სრულყოფას საკუთარ შესაძლებლობებში, ანუ შენ შეიძლება დაემჯობინო საკუთარ თავს.“

ერლომ ახვლედიანი

ასევე შეგიძლია, ნახო ნაწყვეტი ქართული ფილმიდან „ზაფხულის სამი დღე“, რომელშიც ერთ-ერთ როლს ერლომ ახვლედიანი თამაშობს, მისი პერსონაჟი ხასიათითა და დამოკიდებულებით ძალიან ჰგავს თავად ერლომს. ფილმში მის გმირს შექმნილი აქვს ბავშვებისთვის კითხვის წრე, მათ უკითხავს სახარებასა და ილიას მოსაზრებას დიდგორის ბრძოლის შესახებ.

<https://bit.ly/3auxh1Q>



კითხვის დაწყებამდე

- რას გეუბნება სათაური – „ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს“ – ტექსტის შესახებ, რა მოლოდინს აღძრავს შენში?
- ზოგადად, რა ფუნქცია აქვს სათაურს, რა როლს ასრულებს ის ტექსტის გააზრებაში?
- ნაიკითხე ტექსტი, გაანალიზე და კვლავ დაუბრუნდი სათაურს. დაემთხვა თუ არა ნაწარმოების თემა და იდეა შენს მოლოდინს?



ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს

მინიაგუხა

- კაცი იყო, სამშობლო ძალიან უყვარდა.
ჰკითხეს: მაინც როგორ გიყვარს სამშობლო?
უპასუხა: ძალიან მიყვარსო. მისთვის რას არ მოვიმოქმედებო.
ჰკითხეს: ვთქვათ, შეიტყვევ, რომ შენს მოყვასს სამშობლო შენსავით არ
5 უყვარს. რას უზამ?
უპასუხა: სულ ნაკუნ-ნაკუნ ავკნი და ყვავ-ყორნებს გადავუყრი საჯიჯ-
გნადაო.
ჰკითხეს: მის ლამაზ ცოლს რას უზამ?
უპასუხა: **ხარჭად**¹ დავისვამო.
10 ჰკითხეს: მის წვრილშვილს რაღას უზამ?
უპასუხა: სტამბულს მონებად დავყიდო.
ჰკითხეს: მის ეზო-კარს, ყანას, საქონელს და ყოველივეს, რაც მას ეკუთ-
ვნის, რას უზამ?
15 უპასუხა: გავუნანილებ იმათ, რომელთაც სამშობლო ჩემსავით
უყვართო.

1 ხარჭა –
იხმარებოდა ძველ
ქართულში იმ
ქალის მიმართ,
რომელიც
ქორწინების
გარეშე
ცხოვრობდა
მამაკაცთან.

ერლომ ახვლედიანი

ტექსტის გააზრებისათვის

1. ყურადღებით „მოუსმინე“ კაცს, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს. რას აკეთებდა ის სამშობლოს სიყვარულისთვის?
2. შენი აზრით, მისი დამოკიდებულება სწორია თუ არა? შესაძლებელია, სიყვარული ამხელა აგრესიას ითავსებდეს? პასუხი დაასაბუთე.
3. გაიხსენე სამშობლოს მოყვარული სხვა პერსონაჟები ლიტერატურიდან და შეადარე ისინი ერლომ ახვლედიანის ამ პერსონაჟს. რა აქვთ საერთო და განმასხვავებელი?
4. იცი თუ არა, რომელ ჟანრს მიეკუთვნება ერლომ ახვლედიანის ნაწარმოები? რატომ ფიქრობ ასე?
5. რა დატვირთვა აქვს აქ ზმნას – ჰკითხეს? რატომ არ ჩანს, ვინ ეკითხება პერსონაჟს?
6. წინადადების რომელი წევრი აკლია კაცის პასუხებში?

7. დაახასიათე მთავარი პერსონაჟი – მისი თვისებები, დამოკიდებულება მთავარი საკითხის მიმართ.
8. ჩანს თუ არა მთხრობელი და მისი დამოკიდებულება პერსონაჟების ან თავად პრობლემის მიმართ?
9. შენი აზრით, რატომ აირჩია მწერალმა დიალოგის ფორმა, როცა შეეძლო, იმავე პერსონაჟის ხასიათი თხრობითი ტექსტითაც გადმოეცა?
10. მინიატურაში მწერალი ხშირად იყენებს სხვათა სიტყვის ნაწილაკს, ო-ს. როგორ ფიქრობ, რატომ? რა დამატებითი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მას მინიჭებული ამ ტექსტში?
11. დაახასიათე სამი ზედსართავი სახელით მთავარი პერსონაჟის სიყვარული სამ-შობლოს მიმართ. განმარტე, რატომ შეარჩიე თითოეული.
12. დაფიქრდი, რას აკეთებენ შენ ირგვლივ მყოფი ადამიანები სამშობლოსთვის, ქვეყნისთვის და შენ რის გაკეთება შეგიძლია ახლა?

თეორია



მინიატურა

„მკვლევართა დაკვირვებით, მინიატურა თავნება ჟანრია და არ ემორჩილება ფორმის არავითარ კანონებს. ის ჰგავს აისბერგს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს ზედაპირზე, მისი მთლიანად დანახვა კი მხოლოდ მკითხველის გონების სიღრმესა და სულიერ სიმდიდრეზეა დამოკიდებული“.

ამონარიდი ლიტერატორ მათა ჯალიაშვილის ნერილიდან „მინიატურა – თავნება ჟანრი“

1. რა გაიგე მინიატურის შესახებ ამ მოკლე ამონარიდის მიხედვით?
2. რატომ ადარებს ავტორი აისბერგს მინიატურას?
3. ციტატის მიხედვით, ადვილი იქნება თუ არა მინიატურის გაგება?

ჟანრი მინიატურა გვხვდება ლიტერატურასა და მხატვრობაში. ხელოვნების ორივე სფეროში საერთო ისაა აქვს, რომ მცირე ზომისაა.

ლიტერატურული მინიატურა შეიძლება ორი სახის იყოს:

- ა. შინაგანი ემოციური მუხტის მქონე მცირე მოცულობის ნაწარმოები, რომელსაც არა აქვს სიუჟეტი, მაგრამ იტევს ძალიან მნიშვნელოვან ამბავს – მთავარ მომენტს პერსონაჟის ცხოვრებიდან ან გადმოსცემს მთხრობლის ემოციურ დამოკიდებულებას რაიმე საკითხის მიმართ. ასეთ მინიატურებს მკვლევრები თავისუფალ ლექსსაც კი ადარებენ.
- ბ. მეორე ტიპის მინიატურები უფრო იგავური შინაარსისაა, მათი თემატიკა ხშირად რელიგიურ-ფილოსოფიურია და, ძირითადად, ფოკუსირებულია არა პერსონაჟის ცხოვრებაზე, არამედ ავტორი ცდილობს, პერსონაჟის დამოკიდებულების ჩვენებით, რომელიმე ღრმად გასააზრებელი საკითხის მიმართ კიდევ ერთხელ დააფიქროს მკითხველი მარადიულ თემებზე. ლაკონიზმი და ალევორიულობა ის მახასიათებლები, რომლებიც ამ სახის მინიატურას იგავს ამსგავსებს, მაგრამ, ჩვეულებრივი იგავებისა და იგავ-არაკებისაგან განსხვავებით, მინიატურაში მორალი რთულად ამოსაცნობია. ასეთი „იგავური მინიატურები“ უძველესი დროიდან გვხვდება.

სავარჯიშო:

როგორ ფიქრობ, ერლომ ახვლედიანის მინიატურა ამ ჟანრის რომელ ზემოჩამოთვლილ ტიპს განეკუთვნება და რატომ.



სათაური

ნაიკითხე სათაურის სამი სხვადასხვა სახის ახსნა-აღწერა. დააკვირდი და იმსჯელე, რით განსხვავდება ან ჰგავს ერთმანეთს ისინი:

„არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური. სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფელოსი. სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას. მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელთაც ეგ ზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდეს“. (კონსტანტინე გამსახურდია)

„სათაურები დროში ცხოვრობენ, როგორც ტექსტები, ქვეტექსტები, ღირებულებები, ცდუნებები, შთაგონებანი, უცნაურობანი, სიმპტომები, ალუზიები, მეტაფორები და სისულელეებიც კი. ამიტომ, რა ტიპისაც უნდა იყოს ტექსტი, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი სათაური ექნება მას, რადგან პირველი, რასაც ამა თუ იმ ტექსტის აღქმისას ვაწყდებით, სათაურია – ერთგვარი კარიბჭე, რომლითაც მიღმიერ სამყაროში შევდივართ და, მიუხედავად მისი სიძველისა, საინტერესო სიახლეს ველით“. (მ. გოდუაძე)

„სათაური – ბეჭდვითი ნაწარმოების შინაარსის დამახასიათებელი სიტყვები, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა ნაწარმოებებისაგან. უფრო ხშირად მას წინ უსწრებს ავტორის დასახელება“. (ამონარიდი ლექსიკონიდან)

რამდენიმე სახის სათაური არსებობს:

- ა. დედააზრის მაჩვენებელი – რომელიც მთავარ იდეაზე, მთავარ სათქმელზე მიანიშნებს მკითხველს; მაგალითად, „ჩვენება“.
- ბ. ჟანრობრივ-შინაარსული – რომელიც, უბრალოდ, შინაარსთან ან ჟანრთან არის დაკავშირებული, პერსონაჟის სახელი, ადგილის სახელი, სადაც მოქმედება ხდება... მაგალითად, „გიმნაზისტკა“.
- გ. შემფასებელ-დამახასიათებელი – რომელიც შეიცავს ფაქტის, ქმედების, პერსონაჟის შეფასებას, დახასიათებას – მაგალითად, „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“.

სავარჯიშო:

გადახედე სახელმძღვანელოს სარჩევს და დაახარისხე ნაწარმოებების სათაურები. იმსჯელე მათზე. გაითვალისწინე, შესაძლოა, რომელიმე სახის სათაური არ შეგხვდეს.



სათაურების გრამატიკული კვლევა

სათაურები არა მხოლოდ ფუნქცია-შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ – ფორმითაც.

ჩაატარეთ მცირე გრამატიკული კვლევა.

- უპირველეს ყოვლისა, ჯგუფში გადაინაწილეთ ფუნქციები, შემდეგ აიღეთ ლიტერატურის ნებისმიერი ორი სახელმძღვანელო (უმჯობესია ახლანდელი ან უკვე გავლილი კლასის), დაამუშავეთ სარჩევი – დაახარისხეთ მასში მოცემული სათაურები გრამატიკული კატეგორიების მიხედვით;
- გამოიყენეთ გრამატიკის ცოდნა და თავად შექმენით ეს კატეგორიები (შეგიძლიათ, დაახარისხოთ როგორც მორფოლოგიის – მეტყველების ნაწილების – მიხედვით, ისე სინტაქსის – სიტყვების დაკავშირების, წინადადებების, მათი მოდალობა-აგებულების – მიხედვით);
- დახარისხების შემდეგ იმსჯელეთ წერილობით: სათაურების შერჩევის რა გრამატიკული კანონზომიერებები აღმოაჩინეთ და ახსენით თითოეულის ფუნქცია და მნიშვნელობა.

კვლევის შედეგები გააცანით ერთმანეთს. იმსჯელეთ, რა ნაბიჯები გადადგით კვლევაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე.

ჩვენ გირჩევთ

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ და ძალიან იხალისებთ, თუ ერლომ ახვლედიანის სცენარით გადაღებულ მოკლემეტრაჟიან ფილმს, „საერთო კედელს“ („общая стена“) ნახავთ.

<https://bit.ly/2ZrT8AK>



გარდა ერლომ ახვლედიანის მინიატურებისა, კარგი იქნება, თუ წაიკითხავთ ქართველი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის, მინიატურებს: „გული“, „რეკა“, „მონა“... ამ მწერალს მკვლევრები მინიატურების დიდოსტატს უწოდებენ.



(1817-1845)
ქართველი პოეტი,
რომანტიზმის
გამორჩეული
წარმომადგენელი

გაიცანი ავტორი

ნიკოლოზ ბარათაშვილს მღელვარე, დაბრკოლებებით სავსე ცხოვრება ჰქონდა. ძალიან საინტერესო და უცნაურია მისი პორტრეტის ისტორიაც.

„ბარათაშვილს აკლდა სიყვარულისათვის ის ორი თვალთმაქცური გასაღები, რომლითაც შეიძლება ქალის გულში კარის გაღება – სილამაზე და სიმდიდრე. ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქის, მისი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ ამხელდნენ მასში ოდესმე ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართა ჩამომავალს. წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რის გამოც მისი სახე, შორიდან ლაზათიანი, ახლოდან დაჭყანული იყო თურმე. ყოველივე ზემოთ ნათქვამს თუ ისიც დაეუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოჭლი იყო, თქვენ სრულიად დარწმუნდებით, რომ პოეტს არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება.“

ნანყვეტი იონა მეუნარგიას ჩანაწერებიდან

ქვემოთ ქართველი მხატვრის, ლადო გუდიაშვილის, დახატული ნიკოლოზ ბარათაშვილია.

როგორც ხედავ, აღწერილობა და პორტრეტი საერთოდ არ ემთხვევა ერთმანეთს. ამას თავისი მიზეზები აქვს.



არსებობს მოსაზრება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს უყვარდა თავადის ასული ეკატერინე ჭავჭავაძე, მას მიუძღვნა არაერთი ლექსი, მაგრამ ეს სიყვარული ცალმხრივი აღმოჩნდა და ეკატერინე სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს, გაჰყვა ცოლად. თუმცა, მას უნდა ვუმაძღოდეთ იმ ფაქტს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა. სტუდენტი ილია ჭავჭავაძე სტუმრად სწევია პეტერბურგში მცხოვრებ უკვე ხანში შესულ ეკატერინეს. ჭკვიანმა ქალბატონმა, ალბათ, მაშინვე

შეატყო ილიას, ქვეყნის რა მოამაგეც იქნებოდა და ამიტომაც გამოუტანია მისთვის ბარათაშვილის ლექსების რვეული და ერთადერთი ფოტოსურათი. ორივე ძვირფასი ნივთი ილიამ თბილისში წამოიღო. სურათი მიიტანა მაშინ ერთადერთ ფოტოსალონში გადასამრავლებლად.

იმ ღამით ფოტოსალონში მოულოდნელად გაჩენილ ხანძარს ბარათაშვილის ერთადერთი სურათი შეენირა.

მას მერე ბევრი მხატვარი ცდილობდა ბარათაშვილი დაეხატა თავისი წარმოდგენით. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, ნიკოლოზის და, სოფიო, ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს, „ისე, რომ სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა ტურჩებზე, ვერ გაარკვევდით, მართლა სოფიო არის თუ ნიკო ბარათაშვილი“. უთხოვიათ